საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

90244-04-01-2-201908191749

N 04-01/90244
19/08/2019

საქართველოს ბიზნესომბუდსმენს

ასლი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 31 ივლისის №00000834 წერილით გადმოგზავნილი მიმდინარე წლის 31 ივლისის №CA-00429 შუამდგომლობა და გაცნობებთ, რომ ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია: 2019-2020 წლებში წლიურად 65.0 მლნ ლარი, ხოლო 2021-2023 წლებში ყოველწლიურად 100.0 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ არსებული მაკრო-ფისკალური პარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული პარამეტრები დაზუსტდეს ან გაიზარდოს დამატებითი რესურსის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

რაც შეეხება კონკრეტულ ობიექტებთან დაკავშირებით, ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული საკითხი სცილდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას, ხოლო ინდივიდუალური ობიექტის გამოსყიდვის მიზნით დამატებით (ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებაზე დამატებით) რესურსის გამოყოფა შეუძლებელია.

წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში დევნილთა განსახლების თაობაზე გადაწყვეტილებების პრიორიტეტიზაცია უნდა განახორციელოს და შესაბამისი წინადადებები დააყენოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge